გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 66

2024 წლის 12 აპრილი
ქალაქი გორი

ა(ა) იპ „გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს (ს/კ 418471022) 2023 წლის მაისიდან განვლილი პერიოდის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა) იპ „გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს (ს/კ 418471022) 2023 წლის მაისიდან განვლილი პერიოდის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა) იპ „გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს (ს/კ 418471022) 2023 წლის მაისიდანნ განვლილი პერიოდის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის 10 ფურცლად).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს

2023 წლის 01 მაისიდან 2024 წლის 22 მარტის ჩათვლით არსებული პერიოდის საქმიანობის ანგარიში

სარჩევი

შესავალი.....3

1.1.ბიუჯეტი.....4–5

1.2.სახელმწიფო შესყიდვები.....5–6

1.3.სამართლებრივი საქმიანობა.....6–7

1.4.საქმისწარმოება.....7

1.5.რეაბილიტირებული და ახალი საბავშვო ბაგა-ბაღები.....7-8

1.6. გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების მონიტორინგი 8

1.7.მეთოდური საქმიანობა.....8-9

1.8.მატერიალური უზრუნველყოფა.....9–10

1.9.დასკვნა 10

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს 2023 წლის 01 მაისიდან 2024 წლის 23 მარტის ჩათვლით არსებული პერიოდის საქმიანობის ანგარიშს.

ამ ეტაპზე გორის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 64 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებეულება, საიდანაც 45 დაწესებულება მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში, ხოლო 19 ქალაქ გორში.

გარდა ამისა, გორის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ბოშურის ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფი, რომელიც თავის მხრივ ადმინისტრაციულად გაერთიანებულია ატენის საბავშვო ბაგა-ბაღთან. ასევე ქალაქ გორში N14 სკოლამდელ დაწესებულებაში ფუნქციონირებს სასკოლო მზაობის ცენტრი, რომელიც ახორციელებენ სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას აღსაზრდელებისათვის.

1.1. ბიუჯეტი

1.1.1. ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს დაზუსტებული ბიუჯეტი 2023 წელს შეადგენდა 13 422 000 ლარს. რომელიც განსაზღვრული იყო შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო) – 6 800 000 ლარი;
2. შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურება – 1 458 000 ლარი;
3. დანამატი – 60 000 ლარი; (ბაგა–ბაღში დროებით მოვალეობის შემსრულებლებზე გაცემული სახელფასო დანამატი)
4. მივლინების ხარჯი – 8 700 ლარი;
5. ოფისის ხარჯი –2 088 100 ლარი;
6. კვების ხარჯი – 1 855 200 ლარი;
7. სამედიცინო ხარჯი –20 000 ლარი;
8. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა–შენახვის ხარჯი – 391 500 ლარი;
9. სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების ხარჯი – 330 000 ლარი;
10. სოციალური უზრუნველყოფა –133 500 ლარი;
11. სხვა ხარჯები – 120 000 ლარი;
12. არაფინანსური აქტივების ზრდა – 209 500 ლარი.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს ბიუჯეტის ხარჯვა 2023 წლის ბოლომდე პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახით:

1. სულ ბიუჯეტი შეადგენდა- 13 079 507;
2. შრომის ანაზღაურება – 6 798 201 ლარი;
3. შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება – 1 457 952 ლარი;
4. დანამატი – 56 459 ლარი;
5. მივლინების ხარჯი – 7970 ლარი;
6. ოფისის ხარჯი – 1 966 738 ლარი;
7. კვების ხარჯი – 1 705 635 ლარი;
8. ტრანსპორტის ექსპლუატაციის და მოვლა–შენახვის ხარჯი – 390 743 ლარი;
9. სამედიცინო ხარჯი – 20 713 ლარი;
10. სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების ხარჯი – 301 475 ლარი;
11. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი – 129 152 ლარი;
12. სხვა ხარჯები – 116 120 ლარი;
13. არაფინანსური აქტივების ზრდა – 205 521 ლარი.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს დამტკიცებული ბიუჯეტი 2024 წელს შეადგენს 13 715 000 ლარს. რომელიც განსაზღვრულია შემდეგნაირად:

1. შრომის ანაზღაურება (თანამდებობრივი სარგო) – 8 228 792 ლარი;
2. შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურება – 1 980 672 ლარი;
3. დანამატი – 65 000 ლარი; (ბაგა–ბაღში დროებით მოვალეობის შემსრულებლებზე გაცემული სახელფასო დანამატი)
4. მივლინების ხარჯი – 2 000 ლარი;
5. ოფისის ხარჯი – 1 678 000 ლარი;
6. კვების ხარჯი – 1 000 000 ლარი;
7. სამედიცინო ხარჯი – 20 000 ლარი;
8. ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის და მოვლა–შენახვის ხარჯი – 392 000 ლარი;
9. სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების ხარჯი – 61 536 ლარი;
10. სოციალური უზრუნველყოფა – 130 000 ლარი;
11. სხვა ხარჯები – 22 000 ლარი;
12. არაფინანსური აქტივების ზრდა – 200 000 ლარი.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს ბიუჯეტის ხარჯვა 2023 წლის იანვრიდან 22 მარტის ჩათვლით ხარჯვამ სულ შეადგინა 2 831 634.41 ლარი. მათ შორის:

1. შრომის ანაზღაურება – 1 326 550.31 ლარი;
2. შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება – 310 099.17 ლარი;
3. დანამატი – 14 227.83 ლარი;
4. მივლინების ხარჯი – 150 ლარი;
5. ოფისის ხარჯი – 654 182.58 ლარი;
6. კვების ხარჯი – 406 096.56 ლარი;
7. ტრანსპორტის ექსპლუატაციის და მოვლა–შენახვის ხარჯი – 68 245.48 ლარი;
8. სამედიცინო ხარჯი – 200 ლარი;
9. სხვა დანარჩენი საქონლის და მომსახურების ხარჯი – 15 782.59 ლარი;
10. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯი – 27 071.42 ლარი;
11. სხვა ხარჯები – 14 266.29 ლარი;
12. არაფინანსური აქტივების ზრდა – 8990 ლარი.

1.2. სახელმწიფო შესყიდვები

1.2.1 საანგარიშო პერიოდში, 2023 წლის მაისიდან დღემდე საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ შეადგინა **1.239.255** ლარი.

სააგენტომ ბაგა-ბაღებისთვის სანიტარულ–ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფის მიზნით, შეიძინა მაღალი ხარისხის ჰიგიენის საშუალებები, აგრეთვე სარეცხი და საპრიალებელი პროდუქცია 49.259 ლარის ოდენობით. აღსაზრდელთა ტრანსპორტის მომსახურებაში გაიხარჯა 288.275 ლარი. სკოლამდელი აღზრდის სააგენტომ შეიძინა "მიცუბიშის მარკის" ავტომობილი, რომელიც განახორციელებს ბაღების მონიტორინგს, კვების შიდა გადაზიდვას და ბაღების მატერიალური უზრუნველყოფას- 46 000 ლარი. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სააგენტომ ხუთი ახალი გახსნილი ბაღისთვის შეიძინა 33 441 ლარის სათამაშოები, რომლებიც არის მაღალი ხარისხისა და ეკოლოგიურად სუფთა. ასევე გაკეთდა ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებისთვის მზა კერძის, (ცივი კერძის) კვლევა LISTERIA MONOCITOGENIS შემცველობაზე 7938 ლარი და სასმელი წყლის ლაბორატორიული კვლევა 9892 ლარი. მოხდა 35 220 ლარის ღირებულების სხვადასხვა საოჯახო ნივთების (ცოცხები, აქანდაზები, ნაგვის პარკები და ა.შ) შეძენა.

სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებისთვის მოხდა საოჯახო ტექნიკის შესყიდვა 49870 ლარი. ასევე ელექტრო სასწორების შეძენა 4375 ლარი. მოხდა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების ხალიჩების, საბნების, ლეიბების და პლედების შესყიდვა 38 410 ლარი . სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებისთვის მოხდა ბრიკეტის და შეშის ღუმელის შესყიდვა 36 600 ლარი, ასევე სადეზინფექსაციო აბების შესყიდვა 9360 ლარი. ქვახვრელის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში გამოიცვალა 2 ცალი გათბობის ქვაბი 4260ნ ლარი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისთვის შეძენილ იქნა მწერების დამცავი ბადეები– 8499 ლარი. ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 8930 ლარი. ქ.გორის #12 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში გამოიცვალა ლამინირებული იატაკი 3473 ლარი.

საანგარიშო პერიოდში მოხდა 2024 წლისთვის საწვავი ბენზინის შესყიდვა, რომლის საორიენტაციო ღირებულებაა 36 576 ლარი, ასევე მოხდა საწვავი დიზელის შეძენა 10224 ლარი.

1.2.2. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განხორციელებული შესყიდვების ღირებულებამ ლარში შეადგინა 60 000 ლარი,ხოლო ელექტრონული ტენდერის ფარგლებში (აუქციონის გარეშე) **1901652 ლარი.**

სააგენტოს მიერ გაფორმდა 133 გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, საერთო ჯამში 270 555 ლარი. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში განხორციელდა 45 შესყიდვა.

1.3. სამართლებრივი საქმიანობა

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა სხვადასხვა საბავშვო ბაგა-ბაღების ელექტროენერგიით და ბუნებრივი აირით მომარაგების სამართლებრივი პროცედურების მოგვარება. გარდა ამისა მოხდა, ალტერნატიული ფართების ქირავნობის ხელშეკრულებების გაგრძელება სოფელ ზერტის, ქალაქ გორის N1, N2, N7 და N18 სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულების ფუქნციონირების მიზნით. მომზადდა და გაფორმდა შრომითი

ხელშეკრულებები სააგენტოს ადმინისტრაციასა და სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების შტატგარეშე მოსამსახურეებთან შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ასევე, მოხდა სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს თანამშრომელთა და სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების სრულად განახლება, რათა ისინი შესაბამისობაში იყოს საქართველოს შრომის კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებთან და ავტორიზაციის შესაბამის სტანდარტთან.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მიერ სხვადასხვა კომპანიის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალსიწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო მოხდა შესაბამისი კომპანიებისათვის პირსაგამტეხლოს დაკისრება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სააგენტოს იურისტების წარმოებაში იყო ერთი სასამართლო საქმე, რომელიც დასრულდა. ასევე, 2024 წლის იანვრის თვიდან განხორციელდა სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს ადმინისტრაციაში დასაქმებულთა სახელფასო ანაზღაურების 10%-ით ზრდა, ხოლო სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულთა სახელფასო ანაზღაურების 100 (ასი) ლარით ზრდა.

1.4. საქმისწარმოება

სააგენტო უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას კანონმდებლობით დადგენილი წესით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სრულად დაკმაყოფილდა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული 21 განცხადება. საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული არც ერთი განცხადება არ გასაჩივრებულა. სააგენტო მომავალშიც მზადაა უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის შეუფერხებელი გაცემა.

გარდა ამისა აღსანიშნავია, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოში სანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემოსულია 6170 განცხადება თუ სხვადასხვა სახის კორესპონდენცია, ხოლო გასული წერილების რაოდენობა შეადგენს 394–ს.

1.5. რეაბილიტირებული და ახალი საბავშვო ბაგა-ბაღები

2023 წლის დასაწყისში დამთავრდა სოფ. მეჯვრისხევის, სოფელ ხელთუბნის, სოფელ საქაშეთის და სოფელ მეღვრეკისის ბაღების მშენებლობა და კეთილმოწყობა. საბავშვო ბაღები აღიჭურვა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინვენტარით: ავეჯით, ჭურჭლით, ტექნიკით, სათამაშოებითა და სხვადასხვა აუცილებელი ინვენტარით და ნივთებით.

2023 წლის სექტემბრის თვეში გაიხსნა და დაიწყო ფუნქციონირება ახლად აშენებულმა ბაღებმა სოფელ მეჯვრისხევში, სოფელ საქაშეთში, სოფ. ხელთუბანში და სოფელ მეღვრეკისში. ასევე სექტემბრის თვეში ფუნქციონირება დაიწყო ახლად რეაბილიტირებულმა ბაღებმა სოფელ ქიწნისში და სოფელ კარალეთში. ეს ბაღები აღჭურვილია ახალი ინვენტარით,

ყველა ამ ახალ საბავშვო ბაღში დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა, მოწყობილია გარე სივრცეები.
მიმდინარეობს სოფელ ვარიანში და სოფელ ზერტში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა.
 იგეგმება სოფელ შინდისის და სოფელ ტირძნისის საჯარო დაწესებულებების რეაბილიტაცია.

ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო იხდის 5 (ხუთი) სკოლამდელი დაწესებულების (სოფელი ზერტი, ქალაქ გორის N1, N2, N7 და N18 დაწესებულებები) ქირის გადასახადს, რომელიც ფუნქციონირებს ალტერნატიულ ფართში.

1.6. გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების მონიტორინგი

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მენეჯერის გადაწყვეტილების საფუძველზე შექმნილია საბავშვო ბაგა-ბაღების მონიტორინგის ჯგუფი, რომლის ფუნქციები შეადგენდა საბავშვო ბაგა–ბაღების კონტროლს ყველა მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგი განხორციელდა ყველა საბავშვო ბაგა–ბაღში, სადაც გაიცა კონკრეტული რეკომენდაციები, კვების, სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობის, აღმზრდელობითი და მეთოდური მიმართულებით.

1.7. მეთოდური საქმიანობა

საბავშვო ბაღების მუშაობა როგორც საარმზრდელო ასევე საგანმანათლებლოა. სააგენტოს მეთოდისტები უწყვეტ რეჟიმში მუშაობენ საბავშვო ბაღის აღმზრდელებთან. თითოეული მათგანი აქტიურად მუშაობს და მონაწილეობას იღებს საარმზრდელო პროცესში,ჯგუფების და ეზოს სივრცის მოწყობაში ცენტყრების მიხედვით, სააღმზრდელო გეგმების შედგენაში. სასწავლო სააღმზრდელო პროცესი არის ინკლუზიური.
აღსაზრდელებთან მუშაობენ ფსიქოლოგები, სპეც მასწავლებლები და ინდივიდუალური ასისტენტები, მათი მუშაობა არის ყოველდღიური და ისინი ზრუნავენ ბავშვის გონებრივ, ფიზიკურ, სოციალურ, ემოციურ განვითარებაზე.
საანგარიშო პერიოდში-ივნისის თვეში გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტ-სპეციალისტები სასწავლო ვიზიტით პოლონეთში იმყოფებოდნენ. პროექტი გულისხმობდა ქართველი სპეციალსტების კვალიფიკაციის ამაღლების პრაქტიკულ და თეორიულ კურსებს, რაც პოლონელი ექსპერტების მონაწილეობით 20 საათიან თემატურ სამუშაოებს მოიცავდა.
ოქტომბერი-პოლონურ-ქართული გაცვლითი პროგრამის ქალაქ ოჟიშიდან პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების პოლონელი ექსპერტები, ესტუმრნენ და ეცნობოდნენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საგანმანათლებლო-მეთოდოლოგიურ პროცესებს, დაათვალიერეს საბავშვო ბაღები, შეხვდნენ სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს თანამშრომლებსა და მეთოდისტებს, ისაუბრეს გამოწვევებსა და პრობლემებზე. აღნიშნული სამუშაო ვიზიტი გორელი მეთოდისტების პრაქტიკულ-სატრენინგო კურსის გაგრძელებაა, რომელიც რამდენიმე თვის წინ პოლონეთში გაიმართა.

მეთოდისტთა ინიციატივით, გორის და გორის რაიონის საბავშვო ბაღებში მიმდინარეობს საგანმანათლებლო ხასიათის აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს საბავშვო ბაღების აღმზრდელებს შორის ცოდნის და გამოცდილების გაზიარების პრაქტიკის დანერგვას. აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში აღმზრდელ-პედაგოგებს საშუალება ეძლევათ ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, რომელიც მოიცავს თანამედროვე სტანდარტების მიხედვით განმავითარებელი აქტივობების ჩატარებას. მიმდინარეობა ხორციელდება უწყვეტ რეჟიმში.

მარტის თვეში დაიწყო ტრენინგების ციკლი გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის, მეთოდისტების, 15 საბავშვო ბაღის მენეჯერის და 30 აღმზრდელის პროფესიულ განვითარებას.

I2Q პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგების ციკლი, რომელიც მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით და სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ექსპერტების (SDSU) მონაწილეობით.

საანგარიშო პერიოდში მარტი- დაიწყო „აღმზრდელ -პედაგოგთა პროფესიული სტანდარტი „ 66 საათიანი ტრენინგ მოდული. (დირექტორები; მეორე ცვლის აღმზრდელები)

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ილიაუნის ბავშვის განვითარების ინსტიტუტის მიერ , კურიკულუმის დანერგვის ფარგლებში სამიზნე მუნიციპალიტეტად შერჩეული იქნა გორი, აღნიშნულის ფარგლებში ტარდება ადმინისტრაციისთვის და პრაქტიკოსებისთვის სერტიფიცირებული ტრენინგები.

შერცეულია ოთხი საპილოტე ბაღი სადაც დაინერგება ახალი კურიკულუმი და აღნიშნული პროცესი სააგენტოს მეთოდისტების ჩართულობით.

საანგარიშო პერიოდშიო დაიწყო -ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სიმულაციური ავტორიზაციის პროცესი სადაც ჩართულია N 1 ბაგა-ბაღი.

1.8. მატერიალური უზრუნველყოფა

2023 წლის მაისის თვიდან და ამჟამადაც ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მიერ, გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებს მიეწოდებათ საკანცელარიო, ჰიგიენური, სამეურნეო საშუალებები. პარალელურად მიმდინარეობს სანტექნიკური და სადურგლო სამუშაოების შესრულება: საბავშვო ბაღებში წყლის მილების, ცივი და ცხელი წყლის ონკანების, ნიჟარის სიფონების, წყლის მოტორების, უნიტაზის ჩამრეცხი მექანიზმების, წყლის ტუმბოს ტვინის გოფრირებული მილების შეცვლა–შეკეთება, აგრეთვე დენის ავტომატების შეცვლა– შეკეთება, გაზის ონკანების დაყენება, ცენტრალური გათბობის სისტემის მოწესრიგება,წყლის დენის გამაცხელებლის დაყენება, ნიჟარების დაყენება, შეკეთდა და ამჟამადაც მიმდინარეობს კარადების, სკამების, საწოლების შეკეთება მოთხოვნების მიხედვით, შეკეთდა და ამჟამადაც მიმდინარეობს ხის და მეტალოპლასტმასის კარფანჯრის სახელურების, ანჯამების შეკეთება, მოწესრიგდა ელექტრო სადენები, პლაფონები 2023 წლის მაისის თვიდან დღემდე ისევ მიმდინარეობს სანტექნიკური და სადურგლო სამუშაოები.

ათ სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებაში გაკეთდა ცენტრალური გათბობა (N1,N4,N5,N6,N10,N13,N15,N17 სოფ. ვარიანი, სოფ. შავშვები). დაგვრჩა ცხრა საჯარო დაწესებულება რომელშიც არ არის ცენტრალური გათბობა ამ ბაღებს დროულად ვამარაგებთ საწვავი ხის მასალით. 2024 წლის თებერვლის თვეში შევიძინეთ 20 ტონა საწვავი ხის მასალა.

2023 წლის მაისიდან და ამჟამადაც (წელიწადში ოთხჯერ), ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს მიერ სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებში, ტარდება სადეზინფექციო სამუშაოები. ასევე ბაგა–ბაღებს მიეწოდათ დეზობარიერი, სადეზინფექციო ხსნარი, სადეზინფექციო აბები, პირველადი სამედიცინო დახმარების საშუალებები.

2023 წლის აპრილის თვეში, ყველა საბავშვო ბაგა–ბაღი მომარაგდა ჭურჭლით, ოქტომბრის თვეში თითქმის ყველა საჯარო დაწესებულება ავღჭურვეთ ტექნიკით (ელექტროქურებით, მაცივრით, ელექტრო ხორცსაკეპი მანქანებით, წყლის დენის გამაცხელებლებით), ასევე მოვამარაგებთ ავეჯით, საკანცელარიო ნივთებით, ჰიგიენური საშუალებებით და სხვა ინვენტარით, რათა უზრუნველყოფილ იქნას სააღმზრდელო დაწესებულებებში სწავლის უწყვეტი და შეუფერხებელი პროცესი.

1.9. დასკვნა

სააგენტოს მიერ გაწეული მუშაობის შედეგად გორის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში საგრძნობლად გაუმჯობესებულია ვითარება კვების, სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის, აღმზრდელობითი საქმიანობის და ინფრასტრუქტურული მდგომარეობის თვალსაზრისით.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტო ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გორის მუნიციპალიტეტში არსებულმა სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებებმა დააკმაყოფილონ კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები.